

აგროლოჯისტიკის ოპერატორი 020363

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

აგროლოჯისტიკის ოპერატორი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების, მენეჯმენტის დარგის პროფესიული კვალიფიკაციაა. აგროლოჯისტიკის ოპერატორის საქმიანობა მოიცავს აგროლოჯისტიკური ბაზრის მონიტორინგსა და ანალიზს; აგროლოჯისტიკურ ჯაჭვში ლოჯისტიკური რგოლების ფუნქციონირების დაგეგმვასა და ორგანიზებას; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვების, დასაწყობებისა და ლოჯისტიკური ოპერაციების ორგანიზებასა და წარმართვას; აგროლოჯისტიკურ სისტემაში სატრანსპორტო მომსახურების კოორდინაციას; აგროლოჯისტიკურ ცენტრებში საწარმოო-ტექნოლოგიური ზონების მოწყობა-რეკონსტრუქციის სამუშაოებში მონაწილეობას; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამომხმარებლო ბაზარზე მიწოდება-განაწილების კონტროლინგის საინფორმაციო უზრუნველყოფას.

II. დასაქმების სფერო

აგროლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიული დასაქმების ობიექტებს მიეკუთვნება: აგროლოჯისტიკური ცენტრები და მის დაქვემდებარებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმღებ-გამანაწილებელი პუნქტები, სასაწყობო მეურნეობები, საცალო და საბითუმო ბაზრობები, სასურსათო პროდუქტების ტვირთგადამზიდავი და სადისტრიბუციო ფირმები, აგრეთვე ის ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომელთაც სჭირდებათ აგროლოჯისტიკის სფეროში სათანადო ცოდნითა და პროფესიული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტი.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება;
- მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

აგროლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიული განათლება არის ორსაფეხურიანი (IV-V). თითოეული საფეხურისათვის შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 30 კრედიტს. აქედან, კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს. კურსდამთავრებულს ენიჭება აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 25 კრედიტს. კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკის კომპონენტს. კურსდამთავრებულს ენიჭება აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

IV. აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • აგროლოჯისტიკურ სისტემაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვების, საწარმოო-ტექნოლოგიური, მარაგების კონტროლის, მიწოდება-განაწილებისა და სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაციის თეორიული საფუძვლები; • სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვა-გადამუშავების ტექნოლოგიის ოპერაციული სისტემა, პროდუქციის ტრანსპორტირებისას ხარისხის უზრუნველყოფის ხერხები, მომსახურების ბაზრის ლოჯისტიკური სისტემის ფორმირების პრინციპები და ამოცანები, პროდუქციის გასაღებაზე მომსახურების შეფასების კრიტერიუმები; • დასაწყობების ლოჯისტიკის ფუნქციები და ამოცანები, სასოფლო-სამეურნეო ტვირთების მიღება-გადამუშავების, დასაწყობების, • მომხმარებელთა შეკვეთების მომსახურების ოპერაციებისა და მარაგების კონტროლის განხორციელების პრაქტიკული მეთოდები; • ტრანსპორტირების სახეები, გადაზიდვების ორგანიზაციისა და სატრანსპორტო მომსახურების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდები; • სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვისა და მოთხოვნა-მიწოდების ოპერაციების დაგეგმვისათვის შეგროვილი ინფორმაციის სისტემატიზაციის ხერხები და მონაცემთა ბაზის შექმნის მეთოდები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს ინფორმაციის სანდო წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნილების პროგნოზირებით სამომხმარებლო ბაზრის მიზნობრივი სეგმენტების შერჩევა; მიწოდება-გასაღების ბალანსის შეფასება ბაზარზე პროდუქციის პოზიტიურობის სტაბილური დონის მისაღწევად; პროდუქციის გასაღებაზე გაწეული დანახარჯების გამოთვლა, მისი მინიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტისათვის პრაქტიკული ღონისძიებების დაგეგმვა და წარმართვა; ოპერაციების განხორციელების პროცესში პროდუქციის ხარისხზე კონტროლი; შენახვა-გადამუშავების ორგანიზება; სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვების ორგანიზაციის დაგეგმვაში მონაწილეობა; სატრანსპორტო პროცესის მონიტორინგი და მომსახურების ხარისხის დონის შეფასება; სატრანსპორტო პროცესში წარმოქმნილი შეფერხებებისა და ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მათი აღმოფხვრისათვის ოპერატიული ღონისძიებების გატარება; სასოფლო-სამეურნეო ტვირთების სახეობათა მიხედვით დასაწყობების ტექნოლოგიური სქემების შერჩევა, საწყობში ტვირთების მიღების, შიგასასაწყობო ტრანსპორტირების, საფუთავისა და ტარის გამოყენებით გადამუშავების, შენახვაზე განთავსების, მომხმარებლების შეკვეთების კომპლექტაციისა და მიწოდების ოპერაციების დაგეგმვა და წარმართვა; დასაწყობების ლოჯისტიკური მანქანების შერჩევა ტექნიკური მონაცემების მიხედვით; სამომხმარებლო ბაზრის მარკეტინგული კვლევის შედეგების საფუძველზე სხვადასხვა ნომენკლატურის, ასორტიმენტისა და მოცულობის ზომის პროდუქციის მარაგების შექმნა და კონტროლი.</p>

დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.	<p><u>შეუძლ ია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> პროფესიული საქმიანობის პროცესში მონაცემების იდენტიფიკაციისა და ანალიზის გზით ამოიციოს ტექნოლოგიური პროცესის შეფერხებების მიზეზები, გააკეთოს შესაბამისი დასკვნა და დასახოს ღონისძიებები მათი აღმოფხვრისათვის; ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის	<ul style="list-style-type: none"> თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში პროფესიულ საკითხებზე ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით კომუნიკაცია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება; უცხოურ ენაზე კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა-განჭვრეტა, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	<p><u>შეუძლ ია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში; აგროლოჯისტიკის ოპერატორის პროფესიის შესწავლისას მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დამოუკიდებლად გადრმავევა აგროლოჯისტიკურ პროცესებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	<ul style="list-style-type: none"> აფასებს საკუთარ დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი; აგროლოჯისტიკურ სისტემაში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტისას ხელმძღვანელობს მორალურ-ეთიკური, გარემოს დაცვის და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით.

აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p>გაცნობიერებული აქვს აგროლოჯისტიკური სისტემის აგების პრინციპები და ელემენტებს შორის ურთიერთკავშირის კანონზომიერებები.</p> <p><u>იცის:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • შესყიდვების ლოჯისტიკის მიზანი და ამოცანები; • შესყიდვების ბაზრის გამოკვლევის მეთოდები; • შესყიდვების ლოჯისტიკის მექანიზმის ფუნქციონირების პრინციპები; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვების დაგეგმვის მეთოდები; • საწარმოო ლოჯისტიკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, საწარმოო პროცესების ორგანიზაციის მეთოდები; • განაწილების ლოჯისტიკის თეორიული საფუძვლები, განაწილების სისტემის აგების პრინციპები, საქონელმომოქცევის ძირითადი ტექნოლოგიები განაწილების სისტემაში; • სამომხმარებლო ბაზრის მარკეტინგული კვლევისა და პროდუქციის განაწილების ურთიერთკავშირი; • აგროლოჯისტიკური ცენტრების ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები, მიზანი და ამოცანები; აგროლოჯისტიკურ ცენტრებში მატერიალური ნაკადების დაგეგმვა, კოორდინაცია და რეგულირება, საწარმოო პროცესების ორგანიზაცია და წარმართვა, სასაქონლო ნომენკლატურისა და ასორტიმენტის ფორმირება, პროდუქციის გასაღების თანამედროვე მეთოდები და კონტროლინგის სისტემა; • ლოჯისტიკური ინფორმაციის არსი, მისი დამუშავების ხერხები და საშუალებები; • ინფორმაციული სისტემების არქიტექტურა და მათი კავშირი გლობალურ საინფორმაციო სივრცესთან; მართვის ავტომატიზებული სისტემები; • სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სატრანსპორტო-საექსპედიციო სისტემის მოდელები; საექსპედიციო ოპერაციების დაგეგმვის მეთოდები და ექსპედიტორ-ოპერატორის შერჩევის კრიტერიუმები; სატრანსპორტო-საექსპედიციო საქმიანობის კონკურენტუნარიანობა და შეფასების მეთოდები.
------------------------------	---	--

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p><u>შეუძლ ია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვებზე სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილების მარკეტინგულ კვლევებში მონაწილეობა; • პოტენციური მომწოდებლების მოძიება და მათი წინადადებების განხილვა, შესყიდვების ოპერაციების ორგანიზებაში მონაწილეობა. მომწოდებლის შერჩევის კრიტერიუმების დამუშავება. პროდუქციის სამომხმარებლო ბაზარზე გასაღების დინამიკასთან შეფარდებით შესყიდვების მოცულობის ზომის განსაზღვრა; • წარმოების ყველა რგოლის რიტმული და შეთანხმებული მუშაობის, ასევე საწარმოო პროცესების მაქსიმალური უწყვეტობის უზრუნველყოფის მიღწევის მიზნით არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება; • მარაგების კონტროლი და საწარმოს საბაზრო გეგმის დამუშავებაში მონაწილეობა; • სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განაწილების დაგეგმვისათვის აუცილებელი ინფორმაციის შეკრება. გასაღების სტიმულირების მიზნით პროდუქციაზე ინფორმაციის შექმნა და გავრცელება; • კავშირების დამყარება პოტენციურ შემსყიდველებსა და შუამავლებთან, მათი შერჩევა, პროდუქციის გასაღების მარკეტინგული კვლევის საფუძველზე განაწილების შესაძლო არხების სტრუქტურის განსაზღვრა; • აგროლოჯისტიკურ ცენტრებში ლოჯისტიკური სისტემის შემადგენელი ქვესისტემების (შესყიდვა, საწყობები, მარაგები, გადამამუშავებელი საწარმოები, ტრანსპორტი, ინფორმაცია, გასაღება) ფუნქციონირების პროცესში მომარაგების, საწარმოო და გასაღების რგოლებს შორის კოორდინებული ურთიერთქმედების უზრუნველყოფა; • აგროლოჯისტიკური ოპერაციების შესრულებისას ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის შეკრება და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ლოჯისტიკური ნაკადების მოძრაობის პროცესში; • სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თანხლება გზაში; • მომხმარებლის მიზიდვასთან დაკავშირებული საინფორმაციო მომსახურების გაწევა; • სატრანსპორტო საშუალებათა აღჭურვის ან სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებათა შეთავაზება; • სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება; • ოპერაციების კომპლექსის შესრულების ორგანიზაცია ტვირთების დახარისხების, დატვირთვა-განტვირთვისა და სხვა ოპერაციების შესრულების დროს; • ტერმინალებში ტვირთების პარტიების კონსოლიდაციისა და კომპლექტაციის ორგანიზაცია; ხელშეწყობა პორტალში სასაქონლო
--	---	---

		<ul style="list-style-type: none"> • სასაქონლო-სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება; • ოპერაციების კომპლექსის შესრულების ორგანიზაცია ტვირთების დახარისხების, დატვირთვა-განტვირთვისა და სხვა ოპერაციების შესრულების დროს; • ტერმინალებში ტვირთების პარტიების კონსოლიდაციისა და კომპლექტაციის ორგანიზაცია; ხელშეწყობა პორტალში სასაქონლო ოპერაციების ჩატარებისას.
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p><u>შეუძლია:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნილების სპეციფიკიდან გამომდინარე გასაღების თანამედროვე საშუალებების ალტერნატიული ვარიანტების განხილვა და მიღებული შედეგების ანალიზით პროდუქციის საბოლოო რეალიზაციისათვის წინადადებების შეთავაზება; • აგროლოჯისტიკური ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში წარმოშობილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე მისი გამომწვევი წინაპირობების დადგენა და საუკეთესო ლოჯისტიკური პროდუქტის მისაღებად ოპერატიული ღონისძიებების დაგეგმვა.
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია: დარგის სპეციალისტებთან, საწარმოს პერსონალთან, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მომწოდებლებსა და მზა პროდუქციის მომხმარებლებთან; • პროფესიული საქმიანობის სფეროში მიღებული ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, პერსონალის ხელმძღვანელობის ეფექტურად წარმართვისათვის თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება; • შეუძლია ინფორმაციის მოძიება, დახარისხება და გაანალიზება როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე.
სწავლის უნარი	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p><u>აქვს უნარი:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებლად შეისწავლოს აგროლოჯისტიკური ოპერაციების განხორციელების პროგრესული მეთოდები და ტექნოლოგიები, მათი პრაქტიკაში დანერგვის პირობები; • დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად შეუძლია ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელების შესახებ, ხოლო პროფესიული საქმიანობის სრულყოფისათვის განსაზღვროს თვითაქტუალიზაციის მიმართულებები.

ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	<ul style="list-style-type: none">• ცვალებად სიტუაციებში შეუძლია, მაღალი პასუხისმგებლობით მიუდგეს პროფესიული საქმიანობის წარმართვას;• კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით;• ხელი შეუწყოს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი პერსონალის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, გაითვალისწინოს მათი მოსაზრებები და შეხედულებები.
--------------	---	--